



საქართველო  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულო



N 37  
 02/04/2018

37-07-4-201804021429



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 განკარგულება №37  
 2018 წლის 30 მარტი  
 ქ. ლანჩხუთი

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო აკეთის საჯარო სკოლისათვის გა  
 ტრაპაიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის“ მე-4<sup>1</sup> მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად,

**მუხლი 1.** გაიცეს თანხმობა, სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო აკეთის საჯარო სკოლას მიენიჭოს საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული (აფხაზეთის ომში), ამავე სკოლის აღზრდილი გა ტრაპაიძის სახელი.

**მუხლი 2.** განკარგულება გადაეგზავნოს სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო აკეთის საჯარო სკოლას.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო